

ფულადი ვალდებულების შესრულება და საბანკო ანგარიშით სარგებლობის უფლება

ნინო ჩოხელი*

2002 წლის 13 მარტის №3კ/321-02 გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კასატორის საკასაციო საჩივარი და გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.

1. საქმის გარემოებანი

კლიენტსა (მოპასუხე) და ბანკს (მოსარჩელე) შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ბანკი 1999 წლის თებერვლიდან კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ოპერაციებს აწარმოებდა სადებეტო სალდოთი. მოპასუხის ანგარიშზე რიცხული თანხების გადამეტებით საბანკო ოპერაციების წარმოების შედეგად მიმდინარეობდა უარყოფითი სალდოს წარმოშობა და პარალელურად ანგარიშზე შემოსული ძირითადი თანხები მიემართებოდა უარყოფითი სალდოს დაფარვისაკენ.

2000 წლის ივლისში მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“, რომლის 2.3.3 და 2.3.7 პუნქტების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, ბანკის წინაშე ფულადი ვალდებულების არსებობის, ან ასეთის სამომავლოდ წარმოქმნის შემთხვევაში არ ესარგებლა სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილი ანგარიშით მოსარჩელესთან ანგარიშის გასწორებამდე. აღნიშნული პირობის დარღვევისათვის მოპასუხე დაჯარიმდებოდა ფულადი ვალდებულების 30%-ით. 2000 წლის აგვისტოში მხარეებმა წერილობით გააფორმეს მათ შორის არსებული ზეპირი შეთანხმება ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შესახებ.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ მოსთხოვა მოპასუხეს დავალიანების თანხის დაფარვა. ვინაიდან მოპასუხემ მოთხოვნა არ შეასრულა, ბანკმა აღძრა სარჩელი. მოსარჩელემ მოითხოვა ოვერდრაფტის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების - ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის - ანაზღაურება, 2000 წლის ივლისის „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების 2.3.3 და 2.3.7 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმისა და სამოქალაქო კოდექსის 869-ე მუხლის საფუძველზე ვადაგადაცილებული სესხისათვის კანონით დადგენილი პროცენტის გადახდა. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების 2.3.5 და 2.3.6 პუნქტების ბათილად ცნობა, მათი კაბალური ხასიათის გამო.

2. უზენაესი სასამართლოს შეფასება

2.1 კრედიტისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის რიგითობა

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა არ დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის შეფასებას, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე

* „ჯეპლავის“ ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

დაყრდნობით, მოპასუხის მოსარჩელისადმი არსებული დავალიანების დადგენა-გაანგარიშება (საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერების საფუძველზე) უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპით: მოპასუხის ანგარიშზე შესული თანხებით ჯერ იფარება ძირითადი დავალიანების თანხა, შემდეგ – სესხით სარგებლობის პროცენტი.

პალატამ მიუთითა, რომ 387-ე მუხლი განსაზღვრავს სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავს რამდენიმე შესრულების თანმიმდევრობას და ამ მუხლით შეუძლებელია, დადგინდეს ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან (საბანკო კრედიტის (ოვერდრაფტის) ხელშეკრულებიდან) წარმოშობილი ფულადი ვალდებულების ოდენობის დადგენისა და გაანგარიშების წესი. ამდენად, კოლეგიამ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტისა და ძირითადი დავალიანების დაფარვის რიგითობის განსაზღვრისას არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი, მითუმეტეს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია ნორმები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებს.

სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სესხისათვის პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარაა ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას.

აღნიშნული ნორმის მიხედვით, სესხისათვის სარგებლის ოდენობა განისაზღვრება სასესხო თანხის განსაზღვრული პროცენტის სახით მისი მთელი წლის მანძილზე გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს ყოველთვიური პროცენტის ოდენობაც. ჩვეულებრივ მხარეთა შეთანხმებით ხდება პროცენტის გადახდის წესის განსაზღვრა. თუ ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სესხით სარგებლობისათვის დადგენილი პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ ხელშეკრულება ვადიანია, ყოველი წლის გასვლისას მოხდება სარგებლის გადახდა, ხოლო მომდევნო წლის დანარჩენ პერიოდში სესხის დაბრუნებასთან ერთად – ამ პერიოდის შესაბამისი პროცენტის დაბრუნება.

კანონმდებლობით, აგრეთვე, გათვალისწინებულია, რომ პროცენტიანი ვალის დაბრუნება ვადაზე ადრე მხოლოდ კრედიტორის თანხმობითაა შესაძლებელი. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტის ამლები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტისათვის არის კრედიტის ფასი, რაც კრედიტით სარგებლობის გარკვეული ეტაპის დასრულებისას უნდა იყოს გადახდილი.

აღნიშნულის საფუძველზე პალატამ მიუთითა, რომ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოვალის მიერ გადახდილი თანხებით ვალის საერთო თანხა კი არ მცირდება, არამედ ხდება პროცენტის დაფარვა. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პროცენტის გაანგარიშება ხდება ძირითადი თანხიდან.

2.2 საბანკო ანგარიშით სარგებლობის უფლების შეზღუდვა

საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია კოლეგიის გადაწყვეტილება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების 2.3.3 და 2.3.7 პუნქტების სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილად ცნობის შესახებ. პალატამ მიუთითა, რომ ამ მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობას ინვესტორი შეიძლება დაარღვევას: ა) კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების; ბ) საჯარო წესრიგის; გ) ზნეობის ნორმების. საჯარო წესრიგის დარღვევა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების დარღვევას, როგორცაა: საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მენარმეობის თავისუფლება და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №222 ბრძანებით დამტკიცებული დროებითი ინსტრუქციის, რომელიც განსაზღვრავს საბანკო დანესებულებებში საანგარიშსწორებო, საკორესპონდენტო, სავალუტო, საბიუჯეტო, მიმდინარე და სხვა ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების წესებს, მე-2 მუხლი ადგენს, რომ პირებს ენიჭებათ უფლება, დამოუკიდებლად აირჩიონ საბანკო დანესებულება საკრედიტო-საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებისათვის, ამასთან, მათ შეუძლიათ, საბანკო ანგარიშები გახსნან ერთ ან რამდენიმე ბანკში.

აღნიშნული ნორმა პირს აძლევს უფლებას, ანგარიში გახსნას ერთ ან რამდენიმე ბანკში. რამდენიმე ბანკში ანგარიშის გახსნა და საბანკო ოპერაციების წარმოება არ არის სავალდებულო. ამდენად, თუ პირს ანგარიში ექნება გახსნილი მხოლოდ ერთ ბანკში, ან მხოლოდ ამ ბანკში გახსნილი ანგარიშით ისარგებლებს, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის ან კანონით დადგენილი წესის დარღვევად.

საჯარო წესრიგის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს პიროვნების თავისუფლების დარღვევით, პირადი თავისუფლების შეზღუდვით, ისე, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების თავისუფალი წევრის მდგომარეობას და პირს აყენებდეს მონურ მდგომარეობაში. ხშირ შემთხვევაში საჯარო წესრიგის დარღვევის შეფასების კრიტერიუმად მიჩნეულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966) ნორმა, რომლის თანახმად, არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მას არ ძალუძს, შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ, განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთავლისწინებელი, ნებისმიერი მოქმედება. ამ ნორმის თანახმად, სამოქალაქო კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება დაშვებულია.

მოპასუხეს უფლება ჰქონდა, შეეზღუდა მისი სხვა ბანკში არსებული ანგარიშებით სარგებლობის უფლება. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს ესაჭიროებოდა საკრედიტო სასხსრები და მოსარჩელე ყოველგვარი დამატებითი გარანტიის გარეშე აძლევდა მას აღნიშნულ სახსრებს, ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება მისთვის, შესაძლოა, ხელსაყრელიც იყო. გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა შორის არსებული – „ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების შესახებ“ – ხელშეკრულების თანახმად, იურიდიული პირის ანგარიშზე რიცხული თანხები მთლიანად მიემართებოდა სადებეტო სალდოს დასაფარავად. ამგვარი შეზღუდვები სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელია. იგი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გარანტიას და ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

პალატამ მიუთითა, რომ ნების ამგვარი წესით შეზღუდვის კონკრეტული ნორმები მოცემულია საქართველოს ცალკეულ საკანონმდებლო აქტშიც (სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის 38-ე და მე-40 მუხლები).